კონკურსი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის **სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის საბჭო,** „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ დებულების“ 27-ე და 28-ე მუხლების შესაბამისად, **აცხადებს ღია კონკურსს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად.**

1. განცხადების მიღებისა და კონკურსის ჩატარების ვადები:

   ა) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნებისათვის კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყება მიმდინარე წლის 27 ნოემბერს და დასრულდება 3 დეკემბერს;

   ბ) საბუთები მიიღება: I კორპუსი, ოთახი N 550 (10-16 სთ);

   გ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნები ჩატარდება 2015 წლის 10 დეკემბერს.
2. საკონკურსო პირობები:

   ა) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს ფაკულტეტის საბჭოს წევრ პროფესორს ან ასოცირებულ პროფესორს.
3. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა პირადად უნდა წარმოადგინონ:

   ა) ცნობა დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ;

   ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის /პასპორტის) ასლი;

   გ) სამოქმედო პროგრამა.
4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი აირჩევა 4 წლის ვადით.